პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ხუთშაბათი 25 დეკემბერი № 295 (17937) ფასი 2 კაპ.

დიდი შრომითი გამარჯვება

სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ ტრანსპორტის მშენებლებმა ვადამდე შეასრულეს სამხედრო-სამოქალაქო სამუშაოთა მეათე ხუთწლიანი გეგმა. [illegible] ძალავრეთა ამოქმედების დავალებანი. [illegible] შრომითს გამარჯვებას.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, სამინისტროს ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივებმა დიდი წვლილი შეიტანეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. შესრულებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა თითქმის 30 პროცენტით გაიზარდა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით. აშენდა და ექსპლოატაციოდ გადაეცა 3,8 ათასი კილომეტრი ახალი რკინიგზები, 3 ათას კილომეტრზე მეტი მეორე ლიანდაგები, ელექტრიფიცირებულია 3,5 ათასი და ავტომატიკის საშუალებებით აღჭურვილია 12 ათას კილომეტრზე მეტი რკინიგზის მაგისტრალები. ექსპლოატაციოდაა გადაცემული სხვადასხვა სამრეწველო საწარმოს დაახლოებით 3 ათასი კილომეტრი მისასვლელი გზები და 5 ათასზე მეტი კილომეტრი მყარსაფარიანი საავტომობილო გზები.

შესრულებულია საზღვაო და სამდინარო ნავსადგურების, აეროდრომების განვითარების, რკინიგზის კვანძებისა და სადგურების რეკონსტრუქციის დიდი სამუშაოები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თქვენი წარმატებანი, რომლებიც მოიპოვეთ ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობაზე და დასავლეთ ციმბირის ნავთობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაში.

საწარმოო მშენებლობასთან ერთად სამინისტრომ დიდი წვლილი შეიტანა სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, ტაშკენტში, თბილისსა და ბაქოში ექსპლოატაციოდ გადაეცა მეტროპოლიტენების 70 კილომეტრი ახალი ხაზები. რკინიგზის, წყლისა და საჰაერო ტრანსპორტის მუშაკებისათვის აშენებულია 8,5 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ბევრი ობიექტი.

თქვენი წარმატებანი მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, გადამწყვეტ უბნებზე ძალებისა და სახსრების კონცენტრაციის, მშენებლობის პრაქტიკაში ყოველივე ახლისა და მოწინავის მასობრივი დანერგვის, მუშობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის მასობრივი სოციალისტური შეჯიბრების შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ტრანსპორტმშენებლები შეძენილ გამოცდილებასა და თავიანთ საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით კვლავაც იქნებიან პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებისათვის ბრძოლის ავანგარდში.

გიხურავთან, ძვირფასო ამხანაგებო, ღირსეულად შეხვედროდეთ სკკპ XXVI ყრილობას, აღვნიშნოთ მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი ახალი წარმატებებით. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შრომითს კოლექტივებსა და ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ და გულითადად ულოცავენ საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სისტემის შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს მეათე ხუთწლედის გეგმებისა და ვალდებულებების ვადამდე შესრულებას ყველა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვით.

დარგის შრომითი კოლექტივების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების დიდი პოლიტიკურ-ორგანიზატორული მუშაობის შედეგად და ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე ვადამდე შესრულდა ტვირთნაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის, ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის, მსუბუქი ტაქსის ფასიანი გარბენის, აგრეთვე სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ხუთწლედის დავალებანი. დარგის შეჯიბრების მეწინავენი არიან ჭიათურის, მცხეთის, მარნეულის, ნაშურისა და სხვა ავტოსატრანსპორტო გაერთიანებათა კოლექტივები.

სისტემაში ხუთწლედის მანძილზე შეიქმნა მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, ტვირთზიდვით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მომსახურების ძირითადი ფორმა გახდა ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვა, რამაც შესაძლებელი გახადა სატრანსპორტო ხარჯები შემცირებულიყო მოძრავი შემადგენლობის რაციონალური გამოყენების გზით. კიდევ უფრო განვითარდა საავტომობილო მისახმელების გამოყენება, გაფართოვდა საქალაქთაშორისო ტვირთზიდვა და მგზავრთა გადაყვანა, გაიზარდა ტვირთის კონტეინერული გადაზიდვის მოცულობა. გაფართოვდა საავტობუსო მარშრუტების ქსელი, კერძოდ, სოფლად.

სასიხარულოა, რომ ავტოსატრანსპორტო საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ასამუშავებელი ობიექტების მშენებლობაში და შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემის მრავალათასიანი კოლექტივი სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული ახალი წარმატებების შედეგად მიაღწევს დარგის ზრდის სწრაფტემპს, ღირსეულად შეხვდება სკკპ XXVI ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, შემოქმედებითი დამკვრელური შრომით აღნიშნავს მეთერთმეტე ხუთწლედს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი

ა. ა. გრომიკო მოსკოვს დაბრუნდა

24 დეკემბერს სოფიიდან მოსკოვს დაბრუნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო. აეროდრომზე მას დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ი. პელშე, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

დაე მტკიცდებოდეს მეგობრობა

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მასალების კრებული „სსრ კავშირი-ინდოეთი: დაე მტკიცდებოდეს მეგობრობა“ ინდოეთში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ოფიციალური მეგობრული ვიზიტის შესახებ, რომელიც 1980 წლის 8-11 დეკემბერს გაიმართა.

კრებულში გამოქვეყნებულია ლ. ი. ბრეჟნევის, ინდოეთის პრეზიდენტის ნ. ს. რედის, პრემიერ-მინისტრის ი. განდის სიტყვები, ვიზიტის დროს ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ერთობლივი დოკუმენტები, ცნობები საინფორმაციო ხასიათის ინდოეთ-საბჭოთა ურთიერთობათა ისტორიის, ინდოეთ-საბჭოთა ეკონომიკურ, ტექნიკურ-მეცნიერულ, კულტურულ-ჰუმანიტარულ ურთიერთობათა, ინდოეთ-საბჭოთა ურთიერთობებზე ინდოეთის ინფორმაციის ბიუროს, ინდოეთის ეროვნული ინფორმაციის ბიუროს, ინდოეთის ეროვნული ინფორმაციის ბიუროს, ინდოეთის ეროვნული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილის პასუხად

საყრილოგო სამსჯელო

ბაზეთ „კომუნისტის“ ფოსტაში უწყვეტ ნაკადად მოდის ბარათები წარწერებით „ჩემი საყრილობო მოსაზრება“, ან „ჩემი წინადადება“, ეს პასუხია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილისა, რომელიც მომავალ, XXVI ყრილობასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ყველა კომუნისტისა და მშრომელისადმია მიმართული.

ამ ბარათებში გამოთქმულია კმაყოფილება და მადლობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის იმ დიდი ნდობის გამო, რომ რესპუბლიკის კომუნისტთა მომავალი დიდი ფორუმის მომზადებაში, რომელიც წინსვლის ახალ ჰორიზონტებს დასახავს, იყოს ათასობით მშრომელის წილიც, რომ მათი მოსაზრებანი და გულისნადები ყრილობის დოდმნიშვნელოვან დოკუმენტებს დაედოს საფუძვლად.

დღეს ვაქვეყნებთ რედაქციაში შემოსულ რამდენიმე შენიშვნა-წინადადებას.

□

რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შემოიღოს ერთიანი ქვითრები პირადი მეურნეობებიდან ჩაის-ჩამბარებლებისათვის, რომლებშიც ჩაიწერება მოკრეფილი ფოთლის ხარისხი, წონა, თანხა და სხვ.

ეს ჩამბარებელს საშუალებას მისცემს იცოდეს, თუ რამდენი და როგორი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ამის გაკეთება იმიტომაც არის საჭირო, რომ ჩაის ფოთოლს იღებენ უქმეთროოდ, წერენ უბრალო ქაღალდზე, რომელსაც ოფიციალური ძალა არა აქვს. ყოველივე ამის გამო ჩამბარებელმა საბოლოოდ არ იცის, თუ როგორი ხარისხის ფოთოლი მიიტანა მიმღებ პუნქტში.

□

ზემოაღნიშნული საკითხის დროული მოგვარება გაზრდის მეჩაიეთა შრომის ნაყოფიერებას, ესეიგი, მოსავლიანობასაც.

ს. ჭონია,
ლანჩხუთის რაიონი, სოფელი ჯურუყვეთი.

ასეთი ყურადღებაც გვჭირდება

როგორც ცნობილია, მეჩაიეებს ძალიან ხშირად ყოველგვარ ამინდში გვიხდება მუშაობა. დარში კიდევ არაფერი, მაგრამ ავდარში უსაეტანსაცმლოდ ძალიან გვიჭირს ჩაის კრეფა. კარგი იქნება, თუ „საქსპასოფლტექნიკის“ რესპუბლიკური გაერთიანება უზრუნველყოფს სპეციალური ტანსაცმლით მეჩაიეთა მომარაგებას.

ნ. ჩიხლაძე,
ცხუნკურის კოლმეურნეობის მეჩაიე,
(ქ. წყალტუბოს ზონა).

მარტო ნაკარნახევი?

ზემდგომი პარტიული ორგანოები ყოველწლიურად ბევრ დადგენილებას იღებენ. არავინ დავობს მათს უაღრესად დიდ მნიშვნელობაზე. მაგრამ საჭიროა თუ არა ყველას განხილვა პირველადს ორგანიზაციებში?

პირველადი პარტიული ორგანიზაციების ინიციატივის გაზრდის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია შეძლებისდაგვარად შემცირდეს რეკომენდირებული საკითხების განხილვა.

მ. მაღლაკელიძე,
ფარცხანაყანევის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, (ქ. წყალტუბოს ზონა).

უფრო ეფექტიანი ბრძოლაა საჭირო

რესპუბლიკის ყველა კომუნისტისადმი, მშრომელისადმი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი და პრობლემაა წამოჭრილი, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ერთმა აბზაცმა, რომელშიც ნათქვამია, რომ „დემოკრატიის განვითარების პრობლემებს განუყოფელად უკავშირდება საზოგადოების მართვა-გამგეობაში მშრომელთა მასების ჩაბმის, შეგნებული დისციპლინის, წესრიგის განმტკიცების, ორგანიზებულობის უზრუნველყოფის საკითხები, შეურიგებელი ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების, საბჭოთა ცხოვრების წესის ანტიპოდების წინააღმდეგ“.

ასეთი ანტიპოდები კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ გვყავნან. ავიღოთ, თუნდაც, უსაქმურები, ზარმაცები.

ისინი ჩვენი საზოგადოების ყველა სიკეთით სარგებლობენ, რომელთა შექმნაში თვითონ არავითარი წვლილი არა აქვთ შეტანილი. თავის დროზე ხომ მათ უფასოდ მიიღეს საშუალო, საშუალო სპეციალური ან შეიძლება უმაღლესი განათლებაც კი. ბევრი მათგანი ცხოვრობს ნათელ და კეთილმოწყობილ ბინებში, რომლებიც სახელმწიფოს, ესე იგი ჩვენ მიერ გაწეული შრომით შექმნილი საზსრებით არის აგებული. ისინი სამედიცინო დახმარებითაც იმათ თანაბრად სარგებლობენ, ვინც მუყაითად შრომობს და სხვ. ჩვენი აზრით, ეს არ არის სწორი. განა განსხვავება არ უნდა იყოს უქნარასა და მშრომელ ადამიანებს შორის ყოველგვარი დოვლათის განაწილებაში?

არადა, როგორ გვჭირდება მუშახელი შახტებში, მიწისქვეშა ჰორიზონტებზე, შშენებლობებზე! სანგრევში მიმავალ კომპლექსურ ბრიგადას ყოველთვის აკლია მუშები. ხშირად ნოვატორი მეშახტე ცვლაში ორი კაცის მაგივრად მუშაობს, მნგრეველი ცვლის დამთავრების შემდეგაც რჩება სანგრევში, რათა წარმატებით შესრულდეს სახელმწიფო გეგმა-ვალდებულებები.

ასე არ უნდა ხდებოდეს. მით უმეტეს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოდ არის გამოუყენებელი შრომითი რესურსები. ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მათ სრულად გამოყენებას, იმას, რომ ყოველ შრომის უნარიან მოქალაქეს თავის წვლილი შეეჰნოდეს ჩვენი საერთო საქმის წარმატებაში.

კარგი იქნება, თუ ამ საკითხებს ყურადღებას დაუთმობს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა და ისინი მის დოკუმენტებშიც აისახება, შემუშავდება უსაქმურობის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ უფრო ქმედითი და კონკრეტული რეკომენდაციები.

ე. სვანიძე,
ორჯონიკიძის სახელობის შახტის ნოვატორი მეშახტე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი,

ს. ბირკაია,
ლენინის სახელობის შახტის გვირაბგამყვანი, საპატიო მეშახტე,

ლ. კირკიტაძე,
სტალინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ისევ ბავშვებისათვის

ყველაფერი საინტერესო — ბავშვებისა. ასალ ლოზუნგი დღეს ხშირად გვესმის. მაგრამ ვიცით, გიცოდეთ — ყოველივე ეს ადამიანი მოზრდილი თაობის წინაშე პირნათელნი. წესით საბავშვო ბაგა-ბაღები შეუფერებლად უნდა მარაგდებოდნენ სათამაშოებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის — ჩვენი მაღაზიები და ბაზები ხშირად განიცდიან ამ საჭირნოს დეფიციტს, თუ იშოვება, ისიც უხარისხოა, ცუდად არის გაფორმებული. რეზინის სათამაშოები ხომ სრული იშვიათობაა. არც სათამაშო საშენი მასალები, ეს წ. „კონსტრუქტორი“ და „მოზაიკა“ იშოვება... მე ოთხ ათეულ წელზე მეტია ვემსახურები სკოლამდელი ასაკის ბავშვთა აღზრდას და ვიცი, თუ როგორ სჭირდებათ მათ სათამაშოები. კარგი იქნება, მომავალში მნიშვნელოვნად გავადიდოთ ბავშვთა სათამაშოებისა და დიდაქტიკური თვალსაჩინო მასალების გამოშვება, მკვეთრად გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი.

ე. ლეშკაშელი,
ქ. ტყიბულის № 1 ბაგა-ბაღის გამგე.

---

24 დეკემბერი

საკლესიასა და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

საერთაშორისო ცხოვრება

ლონდონის ჟურნალზე

□ *გამოხმაურება*

საბჭოთა ინიციატივის მხარდასაჭერად

ბეირუთი. სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საუდის არაბეთის, ბაჰრეინისა და ომანის ეროვნულ-პატრიოტულმა ორგანიზაციებმა და პარტიებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა მიზანია სპარსეთის ყურის ზონაში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.

საბჭოთა ინიციატივა, ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში, უაღრესად პოზიტიურია და შეესაბამება რეგიონის ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების საქმეს, ამ ახალი ნაბიჯით საბჭოთა კავშირმა კვლავ ცხადყო თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობიანი მიმართულება, გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა ამერიკის შეერთებული შტატების, მისი მოკავშირეებისა და არაბული რეაქციის უსაფუძვლო მტკიცებებს, თითქოს სპარსეთის ყურის რაიონს „საბჭოთა საფრთხე“ ემუქრებოდეს.

სპარსეთის ყურის რაიონში უშიშროებისა და სტაბილურობას რეალურ საფრთხეს უქმნის, ხაზგასმულია განცხადებაში, არა საბჭოთა კავშირი, არამედ შეერთებული შტატები, რომელიც რეგიონში ახორციელებს სამხედრო ბაზების შექმნისა და აგრესიული ბლოკების შეკოწიწების პოლიტიკას, თავი მოუყარეს იქ სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების არმადას ნავთობის საბადოებისა და დასავლეთში მისი მიწოდების გზების „დაცვის“ მოგონილი საბაბით და რომელმაც მიმდინარე წლის აპრილში აგრესიული აქცია მოაწყინა ირანის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების მოქმედება, რეგიონში სამხედრო ყოფნის ზრდის კურსს რომ დაადგნენ, ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, საფრთხეს უქმნის სპარსეთის ყურის რაიონის მდებარე სახელმწიფოთა სუვერენიტეტს.

ფამქეზეგლური კამპანია

კაირო. ეგვიპტის მახობრივი იხფორმაციის საშულებები ხელისუფალთა აშკარა ლოცვა-კურთხევით აჩაღებენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას, ცდილობენ დამაჯერებლად წარმოადგინონ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ეგვიპტეში ფამქეზებლური კამპანიისადგის ჩამოვიდნენ ავღანეთის კონტრრევოლუციის წარმომადგენლები, რომლებიც სარგებლობენ მინიჭებული შესაძლებლობით, რათა სხვადასხვა ანტისაბჭოთა განცხადება გააკეთონ. მთავრობის ნებართვით აპირებენ შეაგროვონ სახსრები კონტრრევოლუციის იმ ძალების დასახმარებლად, რომლებიც ავღანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ იალაშქრებენ. პრეზიდენტის დეკრეტით გამოცხადებულია, რომ ქვეყანაში უნდა მოეწყოს ეგრეთ წოდებული „სოლიდარობის კვირეულები“ ძალებთან, რომლებიც ავღანელი ხალხის წინააღმდეგ ილაშქრებენ. ყოველივე ეს მოწმობს, რომ ეგვიპტის მთავრობა განაგრძობს ძირგამომთხრელ მოქმედებასა და აქეზებს ავღანელ კონტრრევოლუციონერებს, ავღანეთის მეზობელი ქვეყნების ტერიტორიიდან რომ მოქმედებენ.

ქაშ—ირანი

ვაშინგტონი უარზეა

თეირანი. ირანის მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარემ ა. ა. ჰაშემი-რაფსანჯანმა აქ გამართულ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებულ შტატებს ბრალად დასდო, რომ იგი ცდილობს თეირანში დაკავებული ამერიკის საელჩოს თანამშრომელთა განთავისუფლების პრობლემა გამოიყენოს ირანის წინააღმდეგ აგრესიისა და შეთქმულებების საბაბად. თუ ამერიკის მთავრობა უარს იტყვის შეასრულოს ირანის მიერ წამოყენებული განთავისუფლების პირობები, მძევლები ბოლოს და ბოლოს წარდგებიან სასამართლოს წინაშე. განმეორებით მათს საქმეს ირანის პარლამენტი არ განიხილავს, ხაზი გაუსვა ა. ა. ჰაშემი-რაფსანჯანმ.

ვაშინგტონი. პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკიმ ამერიკის სი-ბი-ესის სატელევიზიო კომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ ჯ. კარტერის ადმინისტრაცია უარს ამბობს თეირანში ამერიკის საელჩოს პერსონალის განთავისუფლების ირანის პირობებზე.

ვაშინგტონის ადმინისტრაცია არ აპირებს დაუბრუნოს ირანელ ხალხს შაჰის მიერ ნაძარცვი 24 მილიარდი დოლარის ღირებულების ქონება. ამის გამო, როგორც სი-ბი-ესი აღნიშნავს, მძევლების პრობლემის მოწესრიგების პერსპექტივა „სულ უფრო უიმედო ხდება“.

როგორც მეორე სატელევიზიო კომპანია ეი-ბი-სი იუწყება, ვაშინგტონში ვარაუდობენ, რომ ირანს დაუბრუნონ მხოლოდ ოთხი მილიარდი დოლარი. ამასთან მიზნად ისახავენ თანხის გადაცემა გაუჭიანურონ და, საბოლოო ანგარიშით, მიითვისონ გაყინული ავუარების დიდი ნაწილი იმ საბაბით, რომ პრეტენზიას აცხადებენ ამერიკული კორპორაციები, რომელთა საკუთრება ირანში კონფისკებული ან ნაციონალიზებული იყო რევოლუციის დროს.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ოფიციური რეპრესიებით, მასობრივი დათხოვნებით და სასამართლო დევნით უსწორდებიან ამერიკელი ხელისუფლები იმათ, ვინც თავისი ინტერესებისა და უფლებებისათვის იბრძვის.

ამას წინათ ქალაქ ბელვიუში (ვაშინგტონის შტატი) გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ. „წესრიგის დამცველებმა“ ყველა ღონე იხმარეს დემონსტრაციის დასარბევად და მისი 17 მონაწილე დააპატიმრეს.

სურათზე: საპროტესტო გამოსვლის ერთ-ერთი მონაწილის დაპატიმრება.

აპ-საკლესის ფოტო.

ვაშინგტონი:

კაბინეტის ახალი წევრები

როგორც საკლესის კორესპონდენტ ვაშინგტონიდან იუწყება, თეთრი სახლის აპარატში მოხდა ახალი დანიშვნები. პრეზიდენტის თანაშემწედ ეროვნული უშიშროების საკითხებში დაინიშნა რიჩარდ ალენი. იგი საარჩევნო კამპანიის დროს რ. რეიგანის მთავარი მრჩეველი იყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

პრეზიდენტის თანაშემწე საშინაო პოლიტიკის დარგში გახდება მარტინ ანდერსონი.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ჰოსტს დაიკავებს ჯონ ბლოკი, რომელიც მანამდე ილინოისის შტატის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დირექტორი იყო.

მომავალი რესპუბლიკური ადმინისტრაციის ახალი კაბინეტის შექმნა მალე დამთავრდება.

მხოლოდ ფაქტები

ტელეტაიპის ლენტიდან

დაპატიმრეს ტერორისტები

პოლიციამ ტურინში დაპატიმრა ორი ტერორისტი, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, იპატაქვეშა დაჯგუფების „წითელი ბრიგადების“ ხელმძღვანელობაში შედიან. როგორც პოლიციის წარმომადგენელმა განაცხადა, დაპატიმრებულებს ვინჩენცო გუალიარდოსა და ნადია პონტის დაეძებდნენ ხულ ცოტა რვა მკვლელობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პოლიციას ეჭვი აქვს, რომ მათი ხელი ურევია ამ ტერორისტული ორგანიზაციის უკანასკნელ დიდ ბოროტმოქმედებაში — რომში საკასაციო სასამართლოს წევრის ჯ. დურსოს გატაცებაში, რომელიც ამჟამად ტერორისტების ხელშია.

არჩევნები სინგაპურში

სინგაპურში ეწყობა ქვეყნის ერთპალატიანი პარლამენტის საყოველთაო არჩევნები. არჩევნებში მონაწილეობას იღებს დაახლოებით 1,8 მილიონი კაცი. უნდა აირჩიონ პარლამენტის 75 დეპუტატი.

აფეთქება თვითმფრინავში

საუდის არაბეთის ავიაკომპანიის თვითმფრინავი „ტრაისტარი“ დაბეანიდან კარაჩის (პაკისტანი) 9 ათას მეტრ სიმაღლეზე მიფრინავდა, როცა სამგზავრო სალონში გაურკვეველი მიზეზით აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად ფიუზელაჟის ნაწილი დაზიანდა და წარმოქმნილ ხვრელში პაერის ნაკადმა ორი ბავშვი გატყორცნა. სამი მგზავრი დაშავდა. „ტრაისტარის“ ეკიპაჟმა მოახერხა დაზიანებული თვითმფრინავის დახმა. თვითმფრინავში მყოფი სამასზე მეტი კაცი არ დაშავებულა.

საიდუმლო დოკუმენტი ცხადყოფს

ზრდიან „შემთხვევითი“ ბირთვული კატასტროფის საფრთხეს

ვაშინგტონი. **პენტაგონი საგულდაგულოდ უმალავს ამერიკასა და მოფლიო საზოგადოებრიობას ბევრ ფრიად საშიშ კატასტროფას, რომლებიც ბირთვულ იარაღთანაა დაკავშირებული.** ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტის თანახმად, რომელიც ხელში ჩაუვარდათ საინფორმაციო საგენტოებს, იმ დროს, როცა ოფიციალურად აღიარებულია, რომ „ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით სერიოზული ინციდენტები“ მოხდა 13-ჯერ, სინამდვილეში სულ ცოტა 27-ჯერ იყო. პენტაგონის წყაროები აღიარებენ, რომ ეს ციფრი არ ასახავს მთელ სურათს, რადგან დოკუმენტში მოხსენებული ფაქტების გარდა კიდევ ათამდე საშიში ინციდენტი მოხდა სხვადასხვა ქვეყანაში, სადაც განლაგებულია ამერიკის ბირთვული იარაღი.

ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ „შემთხვევას“ დოკუმენტი უწოდებს „ბ-52“ სტრატეგიული ბომდამშენის ავარიას 1964 წლის იანვარში, როცა დედამიწაზე თვითმფრინავის ჩამოვარდნის წინ პილოტმა ორი ბირთვული ბომბი ჩამოაგდო ქალაქ გოლდსბოროს (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი) შემოგარენში. დედამიწაზე დაცემისას 24 მეგატონა ტრინიტროტოლუოლის სიმძლავრის ერთერთ ბომბზე ექვსი დამცავი მოწყობილობიდან ხუთი მწყობრიდან გამოვიდა. მხოლოდ იმის წყალობით, რომ ამოქმედდა უკანასკნელი მოწყობილობა, არ მოხდა ბირთვული აფეთქება, რომელიც 1800-ჯერ უფრო ძლიერი იქნებოდა ვიდრე 1945 წლის აგვისტოში იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოგდებული ატომური ბომბის აფეთქება.

მარტო წელს სამი კატასტროფა მოხდა, რომელსაც შეიძლება საშინელი შედეგები მოჰყოლოდა. სამხედრო-საჰაერო ძალების გრანდ-ფორკსის ბაზაში (ჩრდილოეთ დაკოტის შტატი) სექტემბერში დაიწვა გასაფრენად მომზადებული „ბ-52“, რომელშიც 30-მდე ბირთვული ბომბი იყო. იმავე თვეში ლიტლროკის (არკანზასის შტატი) რაიონში „ტიტან-2“ რაკეტაში სარაკეტო საწვავის აფეთქების შედეგად მისი ბირთვული მუხტი გადაგორდა სასტარტო შახტიდან რამდენიმე კილომეტრზე და დაზიანდა. ოქტომბერში ბირთვულიარაღიანი „ფბ-111“ ავიაგამანადგურებელმა ბომბდამშენმა კატასტროფა განიცადა შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროს მახლობლად.

ამერიკის მხედრიონის ანგარიშზეა მნიშვნელოვანი ტერიტორიის მოწამლა რადიაციით ესპანეთის სოფელ პალომარესის მახლობლად, სადაც 1966 წელს ჩამოვარდა „ბ-52“ ბომბდამშენი, რომელზეც 4 ბირთვული ბომბი იყო. ასეთივე კატასტროფა მოხდა გრენლანდიის დასავლეთ სანაპიროზე, რასაც აგრეთვე მოჰყვა ვრცელი რაიონის რადიაქტიური მოწამვლა. კიდევ ერთი ავარიის ადგილი გახდა კანადა, სადაც საშიშტვირთიანი ბომბდამშენი ჩამოვარდა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქიდან ტორონტოდან 30 კილომეტრზე. მხოლოდ შემთხვევამ გადაარჩინა ატომური აფეთქებისაგან ამერიკელთა ტყვეობაწამლის საწყობი ინგლისში, როცა იქ ხანძარი გაჩნდა.

„შემთხვევითი“ ბირთვული ტრაგედიის საფრთხე იზრდება პენტაგონის მიერ შეერთებული შტატების ბირთვული არსენალის ზრდის ტემპებზე, როგორც თვით ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მთელ მსოფლიოში შექმნილ ამერიკულ სამხედრო ბაზებშიც. „ახლო მომავალში მოსალოდნელია სერიოზული მასშტაბის ბირთვული კატასტროფა“, — განაცხადა ვაშინგტონის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „სამხედრო პრობლემების საინფორმაციო ცენტრის“ დირექტორმა ჯ. ფიდერმა.

ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი ადმინისტრაციის გეგმები კიდევ უფრო გაზარდოს გამლებული შეიარაღება, გაშალოს „მხ“ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ახალი სისტემა, ნატოელი პარტნიორებისათვის თავსმოხვეული გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში გასალაგონ საშუალო რადიუსის დამატებითი ამერიკული ბირთვული საშუალებანი — ყველა ეს ნაბიჯი არა თუ იწვევს საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის გაქრობას, არამედ ბირთვული იარაღის ახალი კატასტროფების სერიოზულ საფრთხესაც შეიცავს, რომელსაც საეჭვებით შეუძლიათ გამოიწვიონ მსოფლიო თერმობირთვული კონფლიქტის „შემთხვევითი“ დაწყება.

ვითარება სალვადორში

ხუნტის მანევრები

აჯანყებულნი განაგრძობენ ბრძოლას

სან-ხოსე. **სალვადორელი აჯანყებულნი სულ უფრო მძლავრად უტევენ მმართველი რეჟიმის სამხედრო ობიექტებს, მწყობრიდან გამოჰყავთ საბრძოლო ტექნიკა, სპობენ ხუნტის ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.** უცხოეთის საინფორმაციო საგენტოთა ცნობით, 22 დეკემბერს ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმმა გაბედული ოპერაცია განახორციელა სან-სალვადორის მიდამოებში. მსუბუქი ზარბაზნებით, ბაზუკებითა და ავტომატებით შეიარაღებულმა პარტიზანებმა იერიში მიიტანეს ხუნტის მთავარ ილოპანგოს სამხედრო-საჰაერო ბაზაზე. თავდასხმა იმდენად სწრაფი იყო, რომ ბაზის დაცვამ ვერ შეძლო ორგანიზებული წინააღმდეგობა გაეწია პარტიზანებისათვის, რომლებმაც მწყობრიდან გამოიყვანეს სამი თვითმფრინავი და დაანგრიეს რამდენიმე ანგარი.

აჯანყებულთა რაზმებისა და მთავრობის ჯარების გაფფრენებული შეტაკების ადგილი გახდა სან-ამერიკული გზატკეცილი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. ადგილობრივმა მოსახლეობამ ბარიკადებთ. გადაეღობა გზატკეცილი, რათა დამსჯელები არ მეუშვათ პარტიზანების მოქმედების რაიონში. ბარიკადები აგებულია აგრეთვე სან-ვისენტის დეპარტამენტში, სადაც ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა რამდენიმე დასახლება დაიკავეს და პოლიტიკური მიტინგები გამართეს.

მმართველი ხუნტა კვლავ ბინდურ მანევრებს მიმართავს, რათა შეცდომაში შეიყვანოს საერთაშორისო საზოგადოებრიობა და დაიცხოს გამწვავებული განმათავისუფლებელი მოძრაობა სალვადორში. ქვეყნის ახალი „პრეზიდენტი“ ხოსე ნაპოლეონ დუარტე, რომელსაც ეს-ეს არის ფიცი დაადებინეს, შეეცადა ხუნტის რეპრესიული მოქმედება გაემართლებინა მიხწრაფებთ, რომ „ლიკვიდაცია უყონ ულტრამემარჯვენე და ულტრამარცხენე ელემენტების კონფრონტაციას“. „პრეზიდენტმა“ სცადა გაემართლებინა მმართველი ხუნტა, რომლის ბიროტმქმედებებთან დუარტეს უშუალო დამოკიდებულება აქვს, და განაცხადა, რომ ახალი ხელისუფალნი „განახორციელებენ ბანკებისა და საგარეო ვაჭრობის ნაციონალიზაციის, აგრარული რეფორმის გაღრმავების კურსს“. ხუნტის მიერ ფართოდ რეკლამირებულ ამ რეფორმას მოჰყვა გლეხთა მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, მათი ნათესავების განადგურება, სოფლად ეკლიანი მავთულხლართით შემოვლებული ბანერეთ წოდებული „სტრატეგიული სოფლების“ შექმნა.

☐ *საზღვარგარეთის კულტურული ცხოვრება*

რატომ დაიხურა „მგის თეატრი“

საფრანგეთის წლევანდელი თეატრალური სეზონის ყურადღების ცენტრში დასავლეთ ევროპის ერთ-ერთი უძველესი თეატრის „კომედი ფრანსეზის“ მე-300 წლისთვი იყო. თეატრის საიუბილეო აფიშაზე 30-ზე მეტი დასახელებაა ჩამოთვლილი, მათ შორის მოლიერის, რასინის, კორნელის, ჰიუგოს, შექსპირის, ჩეხოვის პიესები.

უნდა ითქვას, რომ საფრანგეთში თეატრი ყველაზე პოპულარულია ეგრეთ წოდებული „წითელი სარტყელის“ უბნებში, ანუ პარიზის მუშათა რაიონებში, აგრეთვე პროვინციაში. მარტო ბოლო 15 წლის მანძილზე საფრანგეთის დედაქალაქის მუშათა დაბებში გაიხსნა 12 თეატრი, კულტურისა და ახალგაზრდობის სახლები.

ობერვილის „კომუნის თეატრმა“ თავისი მე-15 წლისთავი აღნიშნა და ა. ჩეხოვის „სამი და“ წარმოადგინა. სენ-დენის ჟერარ ფილიპის სახელობის თეატრში დიდი პოპულარობით სარგებლობს გოლდონის კომედიები, ივრის „კვარტალთა თეატრი“ დგამს საინტერესო სექტაკლს ნაზიმ ჰიქმეთის ნაწარმოებთა მოტივებზე — „რატომ მოიკლა თავი ბენარჯმა“, პარიზის სპორტის სასახლის სცენაზე კი არაერთხელ გამოჩნდნენ კოზეტა და გავროში! ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი ნაწარმოების „ბანკიცხულის“ ინსცენირება განახორციელა ცნობილმა თეატრალურმა მოღვაწემ რობერ ოსეინმა. მან ექვსი თვე მოანდომა ამ დადგმას, რომელიც წლევანდელი ფრანგული თეატრალური სეზონის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. ოსეინმა სოციალურ პრობლემებზე გამახვილა ყურადღება, სცენაზე ნაჩვენებია პარიზი მაშვრალთა და ლატაკთა, ბუოუეაზიულ საზოგადოებისაგან განკიცხულთა პარიზი.

— ვიქტორ ჰიუგოს რომანი ისევე აქტუალურია 1980 წელს, როგორც 1892-ში იყო, როცა დაიწერა იგი, — ამბობს რ. ოსეინი. — მას აქვთ არსებითად არაფერი არ შეცვლილა. სპექტაკლი „განკიცხულნი“ ადამიანის უფლებათა დაცვას ეხმაურება, ქალებსა და ბავშვებს ექომაგება, ეს პრობლემები კი დღეს განსაკუთრებით აქტუალურია.

პრეს ფრიად მაღალ შეფასებას აძლევს ოსეინის ახალ დადგმას. — „განკიცხულნი“ სრულიად გამორჩეული, განსხვავებული სპექტაკლია და მას ტრიუმფული წარმატება აქვს“, — წერს გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“.

საფრანგეთის თეატრალური ცხოვრება უკვე წარმოუდგენელია რუსული კლასიკის გარეშე. ბოლო ხანებში თეატრის მოყვარულებმა ნახეს ნ. გოგოლის „რევიზორი“ („კვარტალთა თეატრი“ ივრში), ვ. მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ (ლოტარინგიის სახალხო თეატრი), ა. ჩეხოვის „პლატონოვი“ (ობერვილის „კომუნის თეატრი“) და მისივე „ალუბლის ბაღი“ (გრენობლის ეროვნული დრამატული თეატრი). ხოლო გარდა ობერვილის საზოგადოებისა, მიმდინარე სეზონში „სამ დას“ ნახავს სოშოს, ტიოზვილის, მიიულუზის მაყურებელიც. შარშან კი საფრანგეთის ტელევიზიამ უჩვენა „კომედი ფრანსეზის“ ძალებით დადგმული ჩეხოვის „სამი და“. იდგმება ჩეხოვის მოთხრობათა ინსცენირებაც („თეატრ ან ტრენ“).

„პარიზიენ ლიბერე“ აღნიშნავს, რომ ფრანგი მსახიობებისათვის და დამდგმელთათვის ჩეხოვი შთაგონების დაუშრეტელი წყაროა.

ერთ-ერთი საუკეთესო თეატრალური საღამო უწოდა ერთკერეულმა „ვალერ აქტიუელმა“ პარიზში, თეატრ „მარეს“ სცენაზე დადგმულ ი. ტურგენევის „მდგმურს“. შესანიშნავი რუსი მწერლის ამ ნაწარმოებმა პარიზში პირველად 1890 წელს იხილა რამპის შუქი და მას აქეთ უდიდესი წარმატებით იდგმება.

როცა საფრანგეთის მიმდინარე თეატრალურ სეზონზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით იმ სიძნელეებს, რომლებსაც განიცდის ამჟამად ფრანგული თეატრი.

— ამ სეზონში უფრო და უფრო გართულდა მუშაობა, — განაცხადა თეატრ „ტრეტრ დიუ მიდის“ რეჟისორმა ჟაკ ეშატიონმა.

—მე ნიადაგ სახსრების ძიებაში ვარ, — ბანს აძლევს მას ჟერარ ფილიპის სახელობის თეატრის (ქ. სენ-დენი) დირექტორი რენე გონზალესი.

თეატრის მოღვაწეთა დიდ აღშფოთებას იწვევს ის ამბავი, რომ 1981 წლისათვის კულტურულ ღონისძიებათათვის სახელმწიფო ბიუჯეტში მეტად მცირე თანხაა გამოყოფილი, ეს კი ყველაზე ნაკლებია ბოლო შვიდი წლის მანძილზე.

ფინანსური დაბრკოლებების შედეგად შეწყვიტა არსებითად მუშაობა მთელ საფრანგეთში სახელგანთქმულმა „მზის თეატრმა“.

ხელისუფლებას სურს მოგვახრჩოს, საჭვეროდ გამოყოფილი თანხები სასაცილოდაც არ გვყოფნისო, განაცხადა მისმა დირექციამ. ხუთი თვით შეწყდა მარსელ მარეშალის ეროვნული თეატრის მოღვაწეობაც. მის ბედს იზიარებს გრენობლის კულტურის სახლი, რომლის კოლექტივისთვისაც ხელისუფლებამ ვერ გამოძებნა სახსრები. კულტურის დარგისადმი ხელისუფლების ასეთი გულგრილობის შედეგად დაიშალა ახალგაზრდული თეატრისათვის მოქმედი ორგანიზაციის ეროვნული ბიუო, რაც ერთგვარი პროტესტიც არის. ეს ბიუო აერთიანებდა იმ დასებსა და კოლექტივებს, რომლებიც სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე მუშაობდა.

— ფრანგული თეატრის საკითხი მეტისმეტად სერიოზულად დგას, — ნათქვამია ქვეყნის წამყვან თეატრალურ კოლექტივთა ერთობლივ განცხადებაში.

რ. სერებრენიკოვი,
ახალი ამბების საგენტოს კორ.
პარიზი.

☐ *გამოხმაურება*

საბჭოთა ინიციატივის მხარდასაჭერად

ბეირუთი. **სპარსეთის ყურის ზოგიერთი ქვეყნის, მათ შორის საუდის არაბეთის, ბაჰრეინისა და ომანის ეროვნულ-პატრიოტულმა ორგანიზაციებმა და პარტიებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წამოყენებულ საბჭოთა წინადადებებს, რომელთა მიზანია სპარსეთის ყურის ზონაში მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა.**

საბჭოთა ინიციატივა, ნათქვამია მათ მიერ გავრცელებულ ერთობლივ განცხადებაში, უაღრესად პოზიტიურია და შეესაბამება რეგიონის ხალხთა ინტერესებსა და მისწრაფებებს, მთელ მ

XXVI საკავშირო ყრილობის შესანიშნავად

ალმშენებლობის პროგრამა

გამოხმაურება • წინადადება • მოსაზრება

ეთანამედროვე ხუთწლედის ძირითადი მიმართულებების პროექტში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ჩამოყალიბებულ სხვა ამოცანებთან ერთად დასახულია საკურორტო ზონებისა და ტურისტული ბაზების აუცილებელი გაფართოება.

ჩვენი რესპუბლიკის გეოგრაფიული თავისებურებანი თავისავად განაპირობებს კლიმატისა და ნიადაგისეული საფარველის მრავალფეროვნებას, განსაკუთრებით კეთილმყოფელ პირობებს ქმნის მშრომელთა მაღალეფექტიანი სანატორიულ-კურორტული მკურნალობისა და დასვენებისათვის. რესპუბლიკაში ახლა 270 კურორტი და საკურორტო დაწესებულებების ფონდი მთლიანად 80.258 საწოლს აღწევს. რესპუბლიკის პროფკავშირთა საკურორტო სისტემა 68 გამაჯანსაღებელ დაწესებულებას აერთიანებს, რომლებშიც 24.392 საწოლია. გვაქვს 11 საკურორტო პოლიკლინიკა და 22 ბალნეოლოგიური სამკურნალო, დამხმარე საოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, სამშენებლო და ავტოტრანსპორტის საწარმოთა ფართო ქსელი.

პროფკავშირულ გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში ყოველწლიურად მკურნალობს და ისვენებს ნახევარ მილიონამდე საბჭოთა ადამიანი, ხოლო მთლიანად მეათე ხუთწლედში პროფკავშირთა რესპუბლიკურ კურორტებზე თითქმის 2 მილიონ 200 ათას დამსვენებელს გაუწია მომსახურება, რაც 9,4 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის დონეს.

ოჯახი კურორტზე ისვენებს

განვავითაროთ საკურორტო ზონები და ტურისტული ბაზები... გავაფართოოთ ბავშვებთან ერთად მფოგელთა ერთობლივი დასვენებისა და მკურნალობის შესაძლებლობანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტიდან.

ჩვენში ფართო პოპულარობას იძენს საოჯახო დასვენება. საზაფხულო არდადეგების დროს საოჯახო დასვენება ეწყობა სისტემის 12 დაწესებულებაში. მომავალი წლიდან კი ამ მიზნით დასვენების ყველა დაწესებულება მაქსიმალურად იქნება გამოყენებული.

რესპუბლიკის ჰიდრომინერალურმა რესურსებმა და კლიმატმა საშუალება მოგვცა განგვეხორციელებინა რესპუბლიკური საბჭოს სისტემის ყველა სანატორიუმისა და პანსიონატის სპეციალიზაცია, ამან შესაძლებელი გახადა გვქონოდა სპეციალიზირებული გამაჯანსაღებელი დაწესებულებები თანამედროვე კურორტოლოგიის თითქმის ყველა ძირითადი პროფილის მიხედვით.

ჩვენი გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მუშაობის პრაქტიკაში ფართოდ არის გამოყენებული გამოკვლევისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები, მჭიდრო კონტაქტია დამყარებული სათანადო სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან, კათედრებთან.

პარტიის განუწყვეტელი ზრუნვითა და დახმარებით ფართო გაქანება მიეცა ახალი გამაჯანსაღებელი დაწესებულებების მშენებლობას. მაგალითად, უკანასკნელ წლებში საეკსპლოატაციოდ გადაეცა სანატორიუმი „მთის ხეობა“ და სანატორიუმ ლიკანის მე-3 კორპუსი ბორჯომში, პანსიონატი „ჯორნზონტი“ ქობულეთში, სანატორიუმები „გეოლოგი“ წყალტუბოში და „პრიმორსკი“ გუდაუთაში, ბალნეოლოგიური სამკურნალო გაგრაში, პიონერული ბანაკი „ფერცხალი“ ცხვარიჭამიაში“...

კიდე ვუფრო შთამბეჭდავი პერსპექტივები ისახება მეთერთმეტე ხუთწლედში — საწოლების რიცხვი 13,5 პროცენტით გაიზრდება. ცხადია, შესაბამისად გაიზრდება დამსვენებელთა რაოდენობაც. დიდი ყურადღება დაეთმობა ახალი სანატორიუმებისა და დასასვენებელი კერების შენებლობასა და კეთილმოწყობას.

პირველ რიგში აღსანიშნავია სამასადგილიანი სანატორიუმის შენებლობა თირკმელებით დაავადებულთათვის წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს კალოში და ხერხვლის და ზურგის ტკივნის დაზიანებით დაავადებულთათვის გურჯაანში. უკანასკნელ წლებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ავადმყოფთა სანატორიულ მკურნალობას და რეაბილიტაციის საქმეს, რომლებმაც მოიკარდის მწვავე ინფარქტი გადაიტანეს. ამ ღონისძიების განსახორციელებლად პროფეფსი ეცვლება და კარდიოლოგიურ სანატორიუმად გარდაიქმნება თბილისის ზღვის რაიონში შენებარე დასასვენებელი სახლის კომპლექსი. ეს იქნება ავადმყოფთა არა მარტო შრომითი და ფსიქოემოციური რეაბილიტაციის ადგილი, არამედ სამეცნიერო სამედიცინო ცენტრი, რომელიც შემდგომში სათანადო სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებთან ერთად შეიმუშავებს ამ ავადმყოფთა აღრეული რეაბილიტაციის პრობლემებს.

მომავალი წლიდან კურორტ წყალტუბოში და ნაბეღლავში ორგანიზებული იქნება დედათა და ბავშვთა სანატორიული მკურნალობა. ამასთან ახალ ხუთწლედში უნდა აშენდეს სანატორიუმები ტყვარჩელში, ბორჯომში, ბიჭვინთაში, ფიჭიაში, ბაკურიანში, ბაკურიანის ტბაზე, ბაზალეთში, ბაკურიანის ბალნეოფიზიოსამკურნალოთი, სასტუმროები გაგრასა და ბორჯომში, შოვში, ბიჭვინთაში, დასასვენებელი სახლი ბახმაროში. გარდა ამისა, დაგეგმილია სანატორიუმ „საირმის“ გაფართოება, დიეტური სასადილოების შენებლობა ბორჯომსა და წყალტუბოში. განხორციელდება რიგი ღონისძიებები მომსახურე პერსონალის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, მათთვის აშენდება საცხოვრებელი სახლები თბილისში, წყალტუბოში, ბორჯომში, ბიჭვინთაში, ფიჭიაში და სხვა.

უთუოდ დიდი ყურადღება მიექცევა სასურსათო პრობლემის გადაწყვეტას. ამ მიზნით ბორჯომში აშენდება სასათბურო მეურნეობა ბოსტნეულისა და ხილის საცავი პროდუქტების პირველადი დამუშავების საამქროებით. საცავები აშენდება წყალტუბოსა და ქობულეთში. ამასთან პარალელურად უახლოესი წლებისათვის შემუშავებულია რესპუბლიკაში არსებული საკურორტო ფონდის შემდგომი კეთილმოწყობისა და სრულყოფის პროგრამა. ახალი ხუთწლედით გათვალისწინებულია გამაჯანსაღებელი დაწესებულებების რეკონსტრუქცია საწოლთა ფონდის შეიმეცრებლად და იქ ყოველგვარი საჭირო პირობების შექმნა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ერთი სიტყვით, მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედში პროფკავშირთა კურორტების შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის 50 მილიონამდე მანეთი დაიხარჯება.

ჩვენი აზრით, ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილი იქნება მშენებლობებში უფრო ფართო მონაწილეობა მიიღონ ცალკეულმა საწარმოებმა და დაწესებულებებმა. ეს საშუალებას მოგვცემს გაცილებით უკეთ დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილება სანატორიულ მკურნალობასა და დასვენებაზე.

კი, მაგრამ — საით?..

კი, მაგრამ — რა უფლებით. რა რწმენით, რა სინდისით... რის იმედით?

როდის, რა დროს აღმოცენებულა ბოროტების თესლდან სიკეთის ნერგი?...

ამიტომაც მთელი პრინციპულობითა და სიმკაცრით შეიფასეს მაშინ უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებებზე შემსვლელი ახალგაზრდებისათვის ფიქციური დოკუმენტების გაცემის თითოეული ფაქტი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში. გაზეთში გამოქვეყნებული წერილის კომენტარში კი რესპუბლიკის პროკურორმა, იუსტიციის მეორე კლასის სახელმწიფო მრჩეველმა ანზორ ბარამაძემ იმათ განაგოლად, ვინც განგებისად თუ უნებურად თვალახვეული აწერს ხელს სხვადასხვაგვარ ცნობასა და მიმართვას, სრულიად ნათლად და გასაგებად განმარტა: ყოველი ოფიციალური ხასიათის ფიქციური ქაღალდის ხელმოწერას კანონი აკლევს სამსახურებრივი სიყალბის კვალიფიკაციას. ეს სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებაა, რომელიც სანქციათვლოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად ისჯება ორ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ყალბი დოკუმენტების გამოყენება — საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად ერთ წლამდე ვადით.

ნელი, რიგი და ჩვენ

ნელს, 26 მარტს დღის ორ საათზე, ქუთაისის ავტოქარხნის რაიონის ტერიტორიაზე ერთ-ერთ მაღაზიას ყვითელი „ჟიგული“ მიადგა. მანქანიდან გადმოსულმა ახალგაზრდამ მაღაზიას მიაშურა და შესვლისთანავე შოდანი იკითხა. მაღაზიის თანამშრომლებმა შოდანს უხმეს და ეს უკანასკნელი მოსულ უცნობს წარუდგა.

— თქვენთან სალაპარაკო მაქვს, — უთხრა უცნობმა და ოდნავ გვერდზე გავიდა, ხალს განერიდა. შოდან გიგიტაძე ინსტიტუტად მიჰყვა უცნობს.

— შენთან ერთმა სანდო კაცმა გამომგზავნა და შემოგთავაზა 3 ათასი მანეთი გამომიგზავნეო.

შ. გიგიტაძემ გაბეგდა და ჰკითხა, სად არის ის კაცი, მაჩვენეთო.

— კი, ბატონო, წამობრძანდით, დათანხმდა უცნობი და ავტომანქანაში ჩასხდნენ. მანქანაში მათ გარდა ორნი იყვნენ კიდევ. ვეზი რესტორანსაკენ აიღეს, სადაც მოსულის გაბმარტებით ის სანდო კაცი იმყოფებოდა. რამდენიმე ასეული მეტრის გავლის შემდეგ მანქანამ კურსი შეცვალა და სულ მალე ქვეტირის ტყეში ამოყო თავი.

მანქანა გაჩერდა, მანქანიდან ჯერ მოფერთან მჯდომი გადმოვიდა, მერე ის ახალგაზრდა, მაღაზიაში რომ შემოვიდა და უკვე შიშშეპარული შოდანს გადმოსვლა უბრძანეს. ხალხის თვალს მოფარებული ბანდიტები გათამამდნენ და მსხვერპლს კატეგორიულად განუცხადეს, სამი ათას მანეთს მოიტანო. როცა უარი მიიღეს, ერთ-ერთმა მათგანმა შესაშინებლად ნაგანის სისტემის რევოლვერი ფიხებთან ორჯერ დაუცალა, ხოლო მეორე მოძალადემ თვითნაკეთი ნაჯახი ცხვირწინ დაუტრიალა ისედაც შეშინებულ კაცს, და დაემუქრა, თუ დასახელებულ თანხას არ მოიტან, თავს მოგჭრიო.

თავზე ხელაღებული ბანდიტების მუქარით შეშინებული კაცი დაჰპირდა, სადაც მიტყვით, იქ მოგიტანთო. შეთანხმდნენ, დაახლოებით საღამოს 6 საათზე ოღასკურის სასაფლაოსთან შოდან გიგიტაძე სამი ათას მანეთს გადასცემდა ბანდიტებს...

მოახლოვდა დათქმული ექვსი საათიც. ოღასკურის სასაფლაოსთან შენიღბულად ელოდნენ ბანდიტები კაცს, რომელსაც 3 ათასი მანეთი უნდა მოეტანა, მაგრამ ადრე საკმაოდ შეშინებულმა კაცმა დასძლია ეს დროებითი შიში და დაპირება არ შეასრულა. მოძალადეები რის მოძალადეები არიან, თუ ასე ადვილად დასთმეს საკბილო, და გადაწყვეტეს სიტყვის გამტეხი იმ დღეს ენახათ. მართლაც, რამდენიმე საათის შემდეგ ავტოქარხნის რაიონის საკლეტურნეო ბაზრის ჩასახვევში შ. გიგიტაძეს მისთვის უკვე ცნობილი გივი ჭოხონელიძე წამოეწია, რომელმაც ყოველგვარი შეკითხვის გარეშე თვითნაკეთი ხის ნაჯახი მხარზე გამეტებით დაარტყა, თან შეახსენა, რომ დღეს დოქმულ ადგილას, დათქმულ თანხას მოიტანო. ამ საკმაოდ კატეგორიულ გაფრთხილებასაც არ ენდო მძარცველი და უკვე გორის ქუჩაზე გასულებმა შ. გიგიტაძეს სახის არეში მუშტი გაარტყა და კვლავ სიკვდილით დაემუქრა, თუ პირობას არ შეასრულებდა.

ახლა კი იკადრა შ. გიგიტაძემ მილიციის შეწუხება...

განაწყენებული გამომძალველები, როგორ თუ დანაპირები არ შეასრულეო, ანგარიშის გასასწორებლად 28 მარტს სამსახურში მიადგნენ. მაგრამ ამჯერად მილიციის მუშაკებთან მოუხდათ შეხვედრა და მიუხედავად წინაადმდეგობის გაწევისა, სამივე გამომძალველი დაიკავეს.

მილიციის განყოფილებაში გაირკვა დამნაშავეთა ვინაობა. გივი ჭოხონელიძე, ავთანდილ შოს ძე ჩუბინიძე და ავთანდილ მიხეილის ძე გოგიბერიშვილი. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. შემდგომმა ძიებამ ნათელყო ამ სამეულის მორალურ-ეთიკური სახე, საზოგადოებაში მათი ადგილი, რომელიც სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს არ გაჩნდა.

